



ადმონსავლეთის ჰარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 23 აპრილი, 2012 წელი

დრო: 16:00 - 19:00

შეხვედრის ადგილი: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი - ლია თოდუა (თანაკოორდინატორი)
2. კავშირი "ეკოტექი" - თემურ ვეკუა (თანაკოორდინატორი)
3. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის (ESIDG) - თამაზ მარსაგიშვილი
4. ასოციაცია "მწვანე ტალღა" - ნინო ჯახუა
5. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა - სალომე კობალავა
6. ენერგოეფექტურობის ფონდი - ვახტანგ ზარქუა
7. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო - გიორგი აბულაშვილი
8. ეკოლოგიური სამართლის ცენტრი - ნიკოლოზ მჭავანაძე
9. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი - ლევან ასათიანი
10. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - მურმან მარგველაშვილი
11. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - გიორგი მუხიგულიშვილი
12. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია" - მანანა დევიძე

განსახილველი საკითხები

1. გარემოს დაცვის კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვის ტექსტის განხილვა
2. ჯგუფის სამუშაო გეგმაზე მუშაობის გაგრძელება:
 - a. ჯგუფის პროფილით დაგეგმილ საქმიანობათა მოკლე პრეზენტაცია იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც არ ესწრებოდნენ წინა შეხვედრას.
 - b. საქმიანობათა შემაჯამებელი ცხრილის განხილვა და საჭირო რესურსების შეფასება

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და წევრებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდეგ დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგის პირველი საკითხის თანახმად, ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს გარემოს დაცვის კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვის ტექსტზე. მიმართვის არსებული ვერსია, განსაკუთრებით კი მოთხოვნების ნაწილში აღნიშნული პუნქტები, არ აღმოჩნდა მისაღები დამსწრეთა უმრავლესობისათვის. გამოითქვა მოსაზრება ამ საკითხის ფორუმის საერთო კრებაზე გატანის შესახებ. მაგრამ რადგან ჯგუფის უმრავლესობის აზრით, ფორუმის კრების მოწვევა საკითხის განხილვას დროში შეაფერხებდა, ეს წინადადება კენჭისყრის შედეგად არ იქნა მიღებული.

ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, დღის წესრიგის ყველა საკითხზე თანაბარი დროის განაწილების მიზნით, წევრები შეთანხმდნენ მიმართვის ტექსტზე მუშაობის ონლაინ რეჟიმში გაგრძელებაზე, გაჟღერებული წინადადებების გათვალისწინებით.

ეკოლოგიური სამართლის ცენტრის წარმომადგენელმა, ნიკილოზ მჟავანაძემ, წამოაყენა იდეა ზემოთ აღნიშნული კანონის გაუქმების მიზნით „ეს შენ გეხებას“ მსგავსი, ფართომაშტაბიანი კამპანიის წამოწყების შესახებ, რადგან მისი აზრით, საკითხის სიმძაფრიდან გამომდინარე, საკამარისი არ არის მხოლოდ წერილობითი ფორმით რეაგირება. ჯგუფის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი იდეას და შეხვედრაზევე განსაზღვრეს კამპანიის შემდეგი ძირითადი კომპონენტები: 1. დაფინანსების მოძიება; 2. შეხვედრები საპარლამენტო კომიტეტების, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებთან; 3. მედია საშუალებების გამოყენება; 4. აქციების მოწყობა საქართველოს მასშტაბით.

კამპანიის პროექტის სახით შემუშავება კი დაევალა ინიციატორს.

ამის შემდეგ, დამსწრეები გადავიდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვაზე. შესაბამისად, ორგანიზაციებმა, რომლებიც არ ესწრებოდნენ 22 მარტის შეხვედრას, გააკეთეს მოკლე მონახაზი თავიანთი საქმიანობის მიმართულებების შესახებ.

ეკოლოგიური სამართლის ცენტრის საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია მოქალაქეთა დახმარებაზე სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამას გარდა, ორგანიზაციის მიზანია საქართველოში,

განსაკუთრებით კი რეგიონებში, გარემოსდაცვის საკითხებზე მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

ამას გარდა, ევრაზიის ფონდის მხარდაჭერით ეკოლოგიური სამართლის ცენტრს, ეროვნული სააგენტოს ექსპერტების მონაწილეობით, განხორციელებული აქვს ინდუსტრიულ ზონებში გარემოზე ზემოქმედების შეფასება. პროექტი ითვალისწინებდა ინდუსტრიულ ზონებში (მაგ., რუსთავში, ზესტაფონსა და კასპში) საწარმოების მიერ დაბინძურებული წყლის და ჰაერის სინჯების აღებასა და მოსახლების სამართლებრივ დახმარებას.

ამასთანავე, ორგანიზაცია ჩართულია თბილისის (რომელიც სხვა ქალაქებთან ერთად ასევე მონაწილეობს ე.წ. მერების შეთანხმებაში) ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზის პროცესში. ეკოლოგიური სამართლის ცენტრი აქტიურად მუშაობს ელექტრომაგნიტური გამოსხივების კვლევის მიმართულეებითაც.

ორგანიზაცია პლატფორმაში გაწევრიანდა ზემოთ დასახელებულ სფეროებში წამოჭრილი პრობლემების საერთო ძალისხმევით გადაჭრის მიზნით (მაგალითად, კამპანია გარემოსდაცვითი პრობლემების გაუმჯობესებისთვის).

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო (EEC) ძირითადად ემსახურება სუფთა ენერგოტექნოლოგიების პოპულარიზაციას, რისთვისაც ორგანიზაცია იყენებს მედიისა და სხვა სოციალური კომუნიკაციის საშუალებებს. ამ ეტაპისათვის ენერგოეფექტურობის ცენტრი ახორციელებს ორ სხვადასხვა პროექტს:

პირველი პროექტი ითვალისწინებს ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ენერგოეფექტურობის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის რეალიზაციის მონიტორინგს. სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროპული ინიციატივის ფარგლებში, ე.წ. მერების შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მოიაზრებს ქალაქების და მუნიციპალიტეტების დონეზე ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებას 2020 წლამდე საშუალოდ 20 % - ით. მონიტორინგის დასრულების შემდეგ, ორგანიზაცია საჯაროდ წარადგენს შესაბამის ანგარიშს.

მეორე პროექტის ფარგლებში, ენერგოეფექტურობის ცენტრი რუსთავის მუნიციპალიტეტთან ერთად იწყებს მუშაობას ახალ ინიციატივაზე, რომელიც ითვალისწინებს ქ. რუსთავის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, მდგრადი ენერგეტიკული გეგმის შემუშავებაში დახმარებასა და მონიტორინგს. ორგანიზაცია მიესალმება ზემოთ დასახელებულ ღონისძიებებში პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ჩართულობას და აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობას.

რადიო მწვანე ტალღა - არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით. სხვადასხვა ფონდებისა და საელჩოების დაფინანსებით ორგანიზაციას განხორციელებული აქვს გადაცემათა მრავალჯერადი ციკლი გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ დასრულდა ევროკავშირის ერთწლიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გადაცემათა ციკლს გარემოს დაცვის საკითხებზე ევროინტეგრაციის კუთხით.

ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, რადიო არის ინფორმაციის გავრცელების ყველაზე მობილური და კარგი საშუალება, განსაკუთრებით კი, იმის გათვალისწინებით, რომ საუკეთესო ტექნიკური აღჭურვილობის საშუალებით რადიო მწვანე ტალღა ფარავს მთელ საქართველოს.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს ყოველგვარი საფასურის გარეშე შესთავაზა გარემოს დაცვით საკითხებზე სიუჟეტების მომზადება და სიახლეების გაშუქება. ხოლო დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გადაცემათა ციკლის მომზადებაც.

ლევან მიქელაძის ფონდის წარმომადგენელმა დამსწრეებს შეახსენა სლოვაკების მონაწილეობით მაისის შუა რიცხვებში ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე დაგეგმილი სემინარის შესახებ. ამასთანავე, მან ჯგუფის წევრებს მიმართა ინტელექტუალური დახმარების თხოვნით, რაც მოიცავს პრეზენტაციების მომზადებას (ანაზღაურების გარეშე), და სლოვაკი კოლეგებისათვის ისეთი საკითხების შეთავაზებას, როგორცაა, საქართველოს ენერგოტრანზიტორის ფუნქციის აღდგენა და მისი გაწევრიანება ენერგეტიკულ თანამეგობრობაში. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ასევე სთხოვა ჯგუფის წევრებს სემინარისთვის ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი წინადადებების და ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების გაზიარება.

ამის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა განიხილეს სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და განსაზღვრეს ჯგუფის საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება:

პირველი მიზანი მოიცავს ევროინტეგრაციის პროცესის მონიტორინგს; მათ შორის მთავრობის საქმიანობის და საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური (და სხვ.???) ცვლილებების შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ამასთან, ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ შეფასების მეთოდის შემუშავებაზე (მაგ., კითხვარის შედგენა).

გარდა ამისა, დაისვა საკითხი შეფასების სხვადასხვა დონეებზე (მუნიციპალიტეტებში, რეგიონებში) ჩატარების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება საჯარო მოხელეების მიერ გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად მოქმედების მზადყოფნის შეფასების შესახებ, თუმცა აზრი ორად გაიყო.

მეორე მიზანი ითვალისწინებს არსებული პრობლემების დასაძლევად კამპანიების ორგანიზებას და მედია საშუალებების გამოყენებას (როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, შეხვედრაზე დაიგეგმა კამპანია გარემოს დაცვის კანონის გასაუქმებლად).

დაახლოებით სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

სამდივნო: სალომე ბულია და ეკა მრულიშვილი